



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
სსიპ - „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №20

„19“ მაისი 2014წ.

ქ. თბილისი

სსიპ - „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი საქმისმწარმოებლის მოვალეობის შემსრულებლის, ასმათ ჯგელიასათვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ 2013 წლის 29 ნოემბრის №80 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე და 37-ე მუხლების, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოკვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილების მე-2 მუხლის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2012 წლის 25 აპრილს №52 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ დებულების მე-3 მუხლის, მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

შევიდეს ცვლილება ადმინისტრაციული დეპარტამენტის, მთავარი საქმისმწარმოებლის მოვალეობის შემსრულებლის, ასმათ ჯგელიასათვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე სსიპ - „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ 2013 წლის 29 ნოემბრის №80 ბრძანებაში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. სსიპ - „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და ელექტრონული ფორმით გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ აპარატის უფროსი დანა ბათლიძე.
2. დანა ბათლიძის არყოფნის შემთხვევაში, წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება დაევალოს იურიდიული განყოფილების იურისტს დავით ონიანს.
3. დაევალოს სსიპ - „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახურს, წინამდებარე ბრძანების, დაინტერესებული პირებისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.
4. წინამდებარე ბრძანება გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ქობილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქობილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).
5. წინამდებარე ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ კვეციანი
ცენტრის უფროსი

